

თეატრი

საქართველოს
თეატრი

№ 46 საყოველ-კვირთა სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი. № 46

16 ბიოგრაფიკონს ვამოიცნეა ყოველ კვირათათ 1886 წალსა.

ფასი გაზეთი „თეატრი“-სა ერთის წლით..... 5 მან. ~~სახვეარ წლით... 3 მან.~~ სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში რედაქტ. კახტორასში ჯარუნისკულ ქარვას. ფოთში ბ-ხი ხესარიონ კალანდაქსთან.

ცალკე ნუმერი გაზეთი „თეატრი“-სა ღირს 15 კაპ. ისეიღება: თბილისში: ხარკვიანის წიგნის მაღაზიაში, შავერდოვის სააგენტო კონტორაში, ალიხანოვის პაპიროზის მაღაზიაში, ხიდის ყურთან. ქუთაისში კილაძეთ წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარიკმახერ არსენასთან.

გამოგზავნილი სტატიები, კორესპონდენციები, ლექსები და სხვა წერილი წერილები. თუ რედაქციამ საჭიროდ დაინახა შესწორდებიან. რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ბ-ნთ წერილების ავტორთ სტატიები გარჩევით იყენენ დაწერილი.

გამოგზავნილი ხელთ-ნაწერები რედაქციაში ინახება მხოლოდ ერთს თვეს. სტატიების უკან გაგზავნას რედაქცია არ კისრულობს. ყოველ წერილში აუცილებლად მოხსენებული უნდა იყოს ავტორის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.


გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію газ. „ТЕАТРЪ“ Галлерея быв. Артирупи № 110.


პრიტიკა და გიგლიოგრაფია

მეთოდური სახელ-მძღვანელო სამშობლო ენის შესასწავლებლად შედგენილი ალექ. ნათაძისგან. ტფილისი 1886 წ. ფასი 20 კაპ.

სახელ მძღვანელო ბ. ნათაძისა გაიყოფება ორ ნაწილად.—პირველი წარმოადგენს დარიგებას თუ როგორ, რა ხერხით და წესით უნდა შეასწავლოს ბავშვს პირველ-დაწყებით კითხვა-წერა (რატომ წერა-კითხვა არა?) რომელსაც ბოლოში აქვს ჩართული რამდენიმე სამაგალითო გაკვეთილი ხოლო მეორე, თუ როგორ უნდა იხმაროს მასწავლებელმა პირველ-დაწყებითი საკითხავი წიგნი, რა ნაირად უნდა განაერჯიშოს მან ბავშვები შეგონებულ კითხვაში და შეიჩიოს იგინი დალაგებულ ვარკვეულს და მკაფიოდ ლაპარაკს და კითხვას. პირველ ნაწილი თავის მხრით, შეიცავს შემდეგ ცხრა განყოფილებას: ა) წერა-კითხვის სწავლება საზო-

გადოდ: ძველი და ახალი წერა-კითხვის შესწავლების მეთოდები; ბ) სახმო (?) მეთოდის უმთავრესი ღირსებანი პედაგოგის დისტერევეგის აზრი, გ) პედაგოგის უშინსკის აზრი სახმო მეთოდის შესახებ. დ) ბატ. (?) მიროპოლსკის აზრი სახმო მეთოდის შესახებ; ე) სამგვარი სახმო მეთოდი: სინთეტიკური, ანალიტიკური და სინკრეტიკური, ვ) ყურადსაღები წინადადებანი წერა-კითხვის (გაქეთ კითხვა-წერის) შესწავლის სახმო სინკრეტიკული მეთოდი, ზ) სინთეტიკული სახმო მეთოდით წერა-კითხვას სწავლების წინასწარი სავარჯიშო უნდა მოსდევდენ წინასწარი სავარჯიშო სიტყვების გასანაწილებლად, ხ) მების გამოცალკევების სისტემა, თუ წერა-კითხვის (კითხვა-წერის) სწავლება და ი) დასკვნა გეგმის სამაგალითო გაკვეთილს ნიმუშები თურთ. სულ მთლად პირველი ნაწილი შეიცავს 40 გვერდს 81 თაბახის ფორმატისას, მეორე ნაწილი შესდგება ხუთი განყოფილებისაგან. ა) რამდენიმე სიტყვა პირველ-





დასაწყების საკითხების წიგნის შესახებ; ბ) ზოგიერთი რჩევა, რომელსაც უნდა მასწავლებელი ემორჩილებოდეს საუბართა სწავლების დროს სამაგალითო გაკვეთილი ნიმუშის თურთ, გ) განმარტებით კითხვა ანდაზებისა და გამოცანებისა, დ) სამაგალითო გაკვეთილი პირველი და მეორე განყოფილებისათვის, ე) სამაგალითო გაკვეთილი განმარტებით კითხვის მესამე და მეოთხე განყოფილებათათვის. სულ მთლად მეორე ნაწილი შეიცავს 22 გვერდს 81¹ თაბახი ფორმატისას. საჭირო არ არის იმაზედ ლაპარაკი, რომ ამ ნაირი წიგნი (რასაკვირველია, თუ რომ გონიერულად იქმნება შემდგარი) დიდი სასარგებლოა თუ რომ უსათუოდ საჭიროა ბავშვების აღზრდა და სწავლით გაწერთა, ნამდვილია საჭირო უნდა იყოს მასწავლებლისათვის შემზადებაც ამ საქმისათვის. სხუმრო და ადელი საქმე არ არის ბავშვების აღზრდა. ყოველი საქმის კარგად დაწყებისთვის და კეთილად წარმართვისათვის საჭიროა ზედ მიწევით საქმის ცოდნა, რამოდენათაც უფრო საძნელოა საქმე, იმდენად უფრო საფუძვლიანი შემზადება მართეს ამისთვის. თუ რომ საჭიროდ ვთლით შემზადებას კარგის დურგლობისათვის, ოქრო-მჭედლობისათვის. მეურნეობისათვის, დოსტოქრობისათვის, მიწისმზენელებისათვის, ნამდვილია აუცილებლად საჭიროდ უნდა ჩაეთვალოთ ეს აღმზრდელთათვის, რადგანაც აღზრდა შეადგენს გაცილებით უუძნელებს და უუძძიმეს საქმეს. როგორადაც მომზადებელ მკურნალს შეუძლიან მოუტანოს დიდი ზარალი და ზიანი საზოგადოებას ასეთივე და მომატებული ზარალი და ზიანი შესაძლოა წარმოსდგეს მომზადებელის აღმზრდელის და მასწავლებელისაგან. ესე სკოლისათვის საჭიროა კარგად მომზადებული მასწავლებელი, ხოლო მასწავლებელის მოსამზადებლად საჭიროა გონიერულად და პედაგოგიურად შედგენილი სახელ-მძღვანელო წიგნები. სახელ-მძღვანელო წიგნს ბ. ნათაძისას აქვს მიზნად დააკმაყოფილოს აღნიშნული მოთხოვნები რის გამო არის დანიშნული განსაკუთრებით პირველ-დასაწყები მასწავლებელი ან აღმზრდელთათვის. აი ამისთვის არ შეიძლება სიხარულით გული არ ავესოს ამ წიგნის გამოხელით ამას, ვინც კი ძვირფასად თელის ბავშვების აღზრდას და სურს და ემეტება მისთვის სიკეთე და წარმატება. ამ გვარი წიგნების გამართვა მით უფრო სასურველია, რომ ჩვენს მწერლობას ამ მხრით აქვს დიდი ნაკლებევაება. თუ რომ სხვა ხალხს ამ გვარი შრომით მოეპოვებათ ათასობით, ჩვენ ვერც ათს გამოვინახეთ. მგონია, შემცდარი არ უნდა ვიყენეთ, რომ ვთქვათ, რომ

ამ გვარი შრომა ჩვენს მწერლობაში არას სრულყოფილად სტორი, რომლისგანაც პირველი ეკუთვნის ბ. იაკობ გოგებაშვილის. ხოლო რაც უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ამ წიგნს საზოგადოებისათვის, მით უფრო უსაჭიროვსად ვრაცხთ მის „მიუდგომელ“, როგორც იტყვის ბ. ნათაძე თავას წინასიტყვაობაში, გარჩევას ამ გარჩევით ჩვენ არა გესურა დავამკიროთ ან ბ. ნათაძე, ან მის შრომა. ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობთ ბ. ნათაძეს: იგი არის ნიჭიერი მშრომელი, მუყაითი და მოცადინე ყმაწვილი კაცი, რისგამოც დიდი დაიმედოვნებული ვართ, რომ იმ ნაკლს, რომელიც ჩვენის აზრით, იმის წიგნში მოიპოვება, მალე და ადვილად შეასწორებს ბ. ნათაძე. ჯერ-ჯერობით ჩვენ არას ვიტყვით წიგნის მეორე ნაწილის შესახებ; მამასადამე ყველა, რასაც ვიტყვით ჩვენ, შეეხება მხოლოდ პირველ ნაწილს სახელმძღვანელოსას.

სახელმძღვანელო ბ. ნათაძისა წარმოადგენს მთლად თითქმის სიტყვა სიტყვად თარგმანს ბ. ელნიცის; მიროპოლსკის და ბუნაკოვის სამშობლო ენის მეთოდისკებთგან, თუმცა კი ავტორი არ აცხადებს არსად თავის წიგნში იმ წყაროებს, რომლებითაც ესე დამონაეებით ისარგებლა. ჩვენ ამით არა ოდეს არ გავკიცხამდით ბ. ნათაძეს, თუ რომ მას თავისი საკუთარი ჭკუა და გონება მოეხმარებინა და მსხვერპლად არ შეწირა ზემოხსენებულ ბატონებისთვის, მაგრამ, დალოცვილი, მოსდგომია პირადები თარგმნის და იმას კი არა ფიქრობს, შეეხება ეს ნათარგმნი ჩვენი (ქართველების) ცხოვრებას, თუ არა, მართალია ყველა, რაც ზემოხსენებული ბატონები სწერენ, თუ ტყუილია. მაინცა და მაინც, თუ რომ უსათუოდ საჭირო იყო გადმოთარგმნა, ამას მაინც იქმოდა ბ. ავტორი, რომ გადმოეთარგმნა მთლად რომელიმე წიგნი, თორემ, დალოცვილი, თარგმნის იმას, რასაც სრულებით მნიშვნელობა არა აქვს და სტოვებს იმას, რომლის გამოც ჰკარგავს აზრს ნათარგმნი ხდება გაუგებარი იმათთვის, რომელთაც ორგინალში წაკითხვა არ შეუძლიანთ გვერდი წიგნისა მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე არის სიტყვა-სიტყვად გადმოთარგმული ბ. ელნიცის სამშობლო ენის მეთოდისკებთგან (Методы начального обучения отечественному языку Ельницкй стр. 22—24) რომ განყოფილებანი: სახმო მეთოდის უმთავრესი ღირსებათ დისტრევეგის უმინსკის და მიროპოლსკის აზრი შეადგენენ თარგმანს ეს სათაურითგანაც ნათლად სჩანს; ნამდვილად ესეც, რასაკვირველია, უნდა იყოს; მეთერთმეტე გვერდის სამი სტრიქონი, მთლად მეოთხემეტე გვერდი და სამი სტრიქონი მეცამეტე გვერ-

დისა არის ნათარგმნი ისევ ბ. ელნიცკის მეთოდლით-
გან (ის გვე-დი 27 ელნიცკის მეთოდლისა); დანარ-
ჩენი ნაწილი მეცამეტე გვერდისა არის ნათარგმნი ბ.
მირაპოლსკის წერილიდიგან „Обучение грамотѣ“
(Народная письма 1876 г. стр. 14); გვერდი
14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22. 26 წარ-
მოადგენენ ნათარგმნს ისევ ბ. ელიცკის მეთოდლით-
გან (Методы обучения отечественному языку
Ельницкаго стр. 26—32 35, 36) ხოლო გვემი
ეკუთენის ბ. მირაპოლსკის. ამ ნაირად მთელი წიგ-
ნითგან შთება სულ ოთხი გვერდი (23, 24, 25,
26), რომელნიც შეიძლება ჩაითვალონ საკუთრებად
ბ. ნათაძისა

(გაგრძელება.)

ნ ა რ ე ვ ი

შარდენის სურათები

* * * ამ დღეებში ჩვენ ვნახეთ ერთი ფრანგუ-
ლი ძველი წიგნი, ეს წიგნი არის იოანე შარდენის
მოგზაურობა საქართველოში და სპარსეთში. წიგნი
დაბეჭდილია 1713 წ. ქ. ამატერდამში. შეიცავს 279
გვერდს. წიგნში ჩართულია ჩვიდმეტი სურათი. პირ-
ველ სურათში დახატულია თვით შარდენი,
შარდენის ქვეით ორი კაცია დახატული, ერთი
ქართველი და მეორე ევროპელი, ამ ორ კაცს უკა-
ვია შარდენის სურათის რკალი, რკალში მოძღვანებულია
თვით შარდენი. მეორე სურათი საზოგადო კარტას
შეიცავს, საქართველოს და სპარსეთისას, მესამე სურ-
ათი შარდენის მოგზაურობას სამეგრელოში, ცხენ-
ებით, ხუთი ცხენოსანი კაცია ამათში და ოთხი ქვე-
ითათ გზის მაჩვენებელი. მეოთხე სურათში დახატუ-
ლია მეგრელი, ტანს ნაბადი ასხია, თავზე ფაფ-
ნაკი ხურავს და ფეხთ ოხილამური აცვია. მეოთხე
თფილისის გვემა არის, აქ ყველაფერი ნათლათ სჩანს,
თფილისი კარგა ვრცელი ქალაქია. მეხუთე სურათი
მეფის სასახლეს წარმოადგენს, მეექვსე სურათი ქ.
გრეგვანი ერთობ დიდი შეხედულებების არის, მეშვიდე
სურათი ერეკლის მეჩითია, მერვე სურათი ეჩმიადინს
წარმოადგენს, მეცხრე სურათი საკუთრად ეჩმიადინის
გარეგანს და შინაგანსა შეხედულებას, მეცხრე სურათ-
ში დახატულია ქ. თავრიზი მეთვთვე სურათი შეიცავს
ქალაქ სულთაენის, (!) მეთერთმეტე სურათი შეიცავს

ქ. კომის (!) შეხედულებას. მეცამეტე სურათი წარ-
მოადგენს ქართველ მეფის სახლში გამართულს მე-
ჯლიშს, სადაც თვით შარდენიც არის მიწვეული.

მეჯლიში გამართულია დიდს და მდიდრათ შემ-
კობილს დარბაზში. სტუმართ რიცხვი 55-კაცამდე.
ამ სტუმართ 15 მოსამსახურე ემსახურება. შუაზე
ტახტრეანდი ძვეს სადაც მეფე ზის თავის მეუღლით.
ამათ წინ სხედან მესაკრავენი და რამდენამე მოთამა-
შენი. დარბაზის ოთახში კუთხით სტუპრები სხედან.
ორ-ორი კაცი ერთათ. შუაში ანთია მალალი შანდ-
ლები. დარბაზის, შუა ალაგას შადრეენი ამოდის.
საქმელები სინებით მოაქვთ, რომლებზედაც თასები აღ-
აფია გარდა დარბაზის შუა შანდლებისა, ყოველ ორ-ორ
კაცის წინაც თითო შანდალი ანთია. ერთი სიტყვით საინ-
ტერესო სურათია ეს სურათი მეთოთხმეტე. სურათი
წარმოადგენს სპარსეთის უდიდეს მჭიქთა თავის გარე-
განის შეხედულობით. მეთხუთმეტე სურათი შეიცავს
შაჰ-აბაზის საფლავს, ზვიდამ სამი კანდელი ჰკილია.
და მოსახულია მდიდრათ მორთულს მეჩითის ოთახ-
ში. მეთექვსმეტე სურათი წარმოადგენს ერთ მდიდარ
მეჩითის შინაგან მოწყობილებას, რომელშიაც ერთი
პატარა ბიჭი ზის და წიგნს ჰკითხულობს. მეთექვს-
მეტე სურათი წარმოადგენს ქალაქ კაჰანის სურათს
და მეჩვიდმეტე სურათი ახიურს გემოვნებაზე:

კაჰანი აფე ერთ მდიდრათ ნამენს ქორეასლას,
რომელიც ბევრ ნაირს გარეგან მშვენივბელი არის შე-
მკული.

* * * ჩვენ შევეტყუეთ, რომ ჩვენს პატივცემულს
ქართველ კათოლიკე მღვდელს ენმე (ივანე გვარამა-
ძე) მესხს ქართულის ენიდამ სომხურს ენაზე გადაუ-
თარგმნია ისტორიულს სტატია ჩვენი ისტორიკოს დ.
ბაქრაძის შრომისა და სტატისტიკა და ქართული ისტორი-
ის წყაროები, რომელიც ამ ორი წლის წინეთ ქარ-
თულს ჟურნალს გაზეთებში იყო დაბეჭდილი და
დღეს ეს ბროშურა ცალკეც არის დაბეჭდილი. შე-
ვიტყუეთ, რომ ეს სტატია თფილისის ერთ ერთ სომ-
ხურს გაზეთში დაბეჭდებოა.

9. 4

მოსწრებული სიტყვა.

ერთს სადამოს გ. მ—თან იუვენ დ. ე—ტიუვი
და განსკვნებული აკინტე ყიფიანი. აკინთე ყიფიანი,
მსპინქელი და უკანასკნელის მსახური ჩქარ გამოთქმისში
გოჭობდნენ. აკინთემ მსპინქელს წყალი სთხოვა და-
სალკვასთ:

ეროვნული
საბჭო

— ბბბიჭს უბრძანაჲ წყალი დააძაღვეინოს!
 — სასდაჲე ბაატონო, მიუგო გ—მ.
 — ბბბიჭო, ზოლორთილე, იიი აკინთეს წყაალი
 ოართვი, გასძასა გ—მ ბიჭს.
 — საამ სასათში, ბაატონო, გამოსძასა ბიჭმა.
 — სანამ თქვენ თხოვნა და ბრძანებას და ბიჭი ზა-
 სუხს გაათავებდეთ ამას კი (იაკინთეზე უჩვენა) თავისი
 დაქმარება. მიუგო აქვე მჯდომმა კ—გმა.

ივ-ზე ქ-ქე

გამოჩენილს საფრანგეთის კოროლს ფრანცისკო
 პირველს რაღაც სამსახურისათვის ერთი კარის კაცის და-
 საჩუქრება უნდოდა, მაგრამ სანამ დააჯილდოვებდა, მოი-
 ნდომა შეეტყო კეთილ-შობილი იყო იგი თუ უბრალო
 ვინმე.

— სულმწიფეკ, მიუგო კარის კაცმა, ნაკეს კილო
 ბანში სამი მინი იყვნენ, მართალი უნდა მოგასსენოთ დ.
 გამოგიტყდებით რომ არ ვიცი, რომელია იმთავანი ჩემი
 წინაპარი?

ერთი კაცი ტრახანობდა ერთს კრებაში, ისეთ
 გულადი და გამბედავი ვარ, რომ ეშმავსაც არ შემუშინდო-
 ბაო.

— სჩანს ჩემო კარგო, სანთლისათვის თითუბით
 ცხვირი არ მოგისოცნია, თორემ მაგას არ იტყოდიო,
 დაცინვით მიუგო ერთმა.

ა ნ ე გ ლ ო ტ ე ბ ი

ერთი პატივცემული თავადი დაუძღურდა
 რალაც სასტიკი ავადმყოფობით, სხვა-და-სხვა სა-
 შუალების ხმარების შემდეგ, გაუჩნდა მას ერთი სტა-
 მბოლელი „ექიმბაში“, რომაც იკისრა თავადის გან-
 კურნება რამდენიმე დღის განმავლობაში (უნდა
 შევნიშნოთ, რომ ზემოხსენებული ბ. „ექიმბაში“,
 როგორც დრომ გამოაჩინა, დიდი გაიძვერა და ცრუ
 ვინმე ბრძანებულა. „ექიმბაში“ ისეთი დახელოფ-
 ნებული ექიმი იყო მისივე სიტყვით რომ ადამს და ევას
 უშუველად ვააცოცხლებდა, ასი წლის უშვილო დე-
 დაბერს შევილს გაუჩნდა, ბრმას თვალს აუხელოდა,
 ყრუს სმენას დაუბრუნებდა, მუნჯს ენას აუხსნიდა
 კუტს ფეხზედ გაატარებდა და სხვა-და-სხვა... ერთის
 სიტყვით მას სასწაულ-მოქმედი ანამ დაუფარდა იმე-
 რეთში.

როდესაც თავადმან ჰკითხა რით
 ეო ავადო. „ექიმბაში“ მიუგო, რომ ეს ძნელი
 მოსარჩენი ავადმყოფობა არისო (უკაცრავად, ბატონ-
 ნებო!) ბუასილი გპირთო, და დაუწყო განმარტება,
 რომ ბუასილი შეიღნაირი არისო და ყველაზედ უძ-
 ლიერესი და უარესი ის არის, რომელსაც თქვენ დაუ-
 ძღურებინართო და თქვენი მოსარჩენად დიდი შრომა
 და მეცადინეობა დამჭირდებაო. ეეთი ბუასილი დაუ-
 მატა სასწაულ-მოქმედმა „ექიმბაში“, სხვა თავის მე-
 გვარეთ შორის ბატონად ითვლებოა.“

„მაშ ეს ბატონია?“ ჰკითხა თავადმა
 — დიად! ბატონი ძლიერი! დიდი ბატონი
 მიუგო ღინჯად „ექიმბაში“
 „ღმერთმა კარგი შენ მოგცეს, მიუგო სიტყვით
 ავადმყოფმა, კარგი რეზიდენცია მაგ შენს ძლიერს და
 დიდ ბატონს აღურჩევიაო!

ო—ლი

ო.რი მნატბრელი.

დამჯდარა ყვავი ვარდის ძირს,
 გაჭსჩსავის თავის „ყვას“, „ყვას!“-სა
 და იქორებს ხმა მადლა
 ერთ ახირებულ ნატკრასა:

ღმერთო! მომმადლე იგი დრო,
 ჩემ სულად იყვნენ ვარდები,
 დავგლიჯო, დავსწვა, ვაჯაქრო,
 ვისაც არ შეუყვარდები!...

ვარდნი ფურადნი, სუნ-მიფენი,
 ვარდს გულთ ჭკიცხვენ, სწუეეკლიან,
 სასარდის ნატკრის ჩასაშმას
 შემომქმედს ევედრებან!...

იქვე, ახლოს ზას ბულებული,
 ჭიკტიკებს გრძნობით გალობას,
 ღმერთს შესთხოვს ერთსა სანატრელს,
 მისს აღსრულებას, წყალობას:

„ღმერთო! მომმადლე იგი დრო—
 კეთილ დღეობდენ ვარდები
 და მე არ დავსდეკ, არ ვსწუეეკლი,
 თუ არც ერთს შეუყვარდები...“

ვარდნი ფურჩქენილნი, სუნ-მიფენი
 ბულებულის ქებას მღერიან,
 მის დღეობდებას, მის კეთილს
 შემომქმედს ევედრებან!...

გ. თირული.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეატრის კვირა

რომლითაც იგი ცდილობს უარ ჰქვას
 ყველა ის, რაც კი მე მიწერია
 სადღეთის მეტყველო საგნების გამო.
 დიად, ის იყო ჩემი მოწაფე
 და აი მებრძვის თვის მასწავლებელს!
 ამ თხზულებითა მან ყოველივე
 მოსპო კავშირი თავის ერთანა,
 მამა-შახის საწმინტოებსთან,
 მაშასადამე თვითონ ჩემთანაც
 იოხაი.

მაშ ვიმოქმედოთ ჩვენ ერთად, სილვა!
 მე გუფით მიეყარს მინასეს ქალი;
 როს დაუბრუნდი და კვლავ ვნახე ის,
 უფრო აღმეგზნო ტრფობისა აღი.
 მაგრამ დრუბელი, რომელიც უშლის
 ჩემსა და იმის ბედნიერებას—
 უნდა განიხილოს ანაზღაურად.
 მე ვერ გავბედავ ვთხოვო ივლითსა
 ყოველივე ეს, ვით მოწაფეა.
 და თუ იკისრებ შენ მის წინაშე
 ჩემის სულისა თარჯიმანობას—
 კარგი იქნება,—კაცს ამპარტავანს
 არ მოუხდება თვითონ ჰქმნას ეს...
 დაბინდა... წადი... იქ ბაღში კიდევ
 დაისვენებ შენ...

სილვა.

უური დამიგდე.

ჯერ სინამ წავალ, გთხოვ დამიმტკიცო
 ცხადად კვ შენი იტყუებულება...! (მსახური შემოდის)
 რა? რად მოსკულ?... (იოხაის) უკაცრავად ვარ.

მოსამსახურე.

იქ ვიდაც შენი მოწაფე არი,
 იგი აქ თქვენთან თათქოს მინახავს,—
 რადგან მასსოვს, რომ თქვენ ის გიყვარდათ
 მისთვის მივეცი შემოსულის ნება... (მივაკარებთან).
 მობრძანდით აქა.

გამოსვლა მეორე

სილვა, იოხაი, ურელი.

იოხაი. (იქით)

ის არის, ისა!

სილვა (იქით).

ურელი!

ურიელ.

ხომ არ დაგიშალეთ? (მოსაწყენი სიჩუმეა).

სილვა.

თუ მოსკულ ჩემთან, ვითა ექიმთან,

მობრძანდით! ექიმს მართებს თვით მტერსაც
 კაცი გაუღოს.

ურიელ.

მტერსა, დე-სილვა?...
 მასწავლებელთან მოკულ და მინდა
 გამოკეთსოვო.

იოხაი (იქით).

გამოკეთსოვო?

სილვა (აღნიშნავს ურელის ბენ-იოხაის)

იცნობთ ერთმანეთს?

ურიელ.

დიად, ვიცნობთ.

იოხაი.

მე

სწორედ რომ ვარ გაკვირვებული;
 გონებ თქვენს სთქვით, მივდივარ?
 ურიელ.

იქ,

საიღამაც თქვენ უკვე დაბრუნდით,
 ხვალ ადრინად უნდა წავიდე.
 მე მინდა განსო უცხო ქვეყანა,
 განსო იქ ხალხი როგორც ცხოვრობს.
 და რადგან მსურდა გამოთხოვება
 მათთან, რომელნიც გუფით მიეყარან,
 ამისთვის, სილვა, შენთან მოკული
 და გიწკდი ხელსა...

სილვა.

იმ ხელს, რომლითაც

ჩემი გონების ნამოქმედარი
 ამ დღეებშია გადაისროლე,
 ვით უვარგისი ძველი წამალი?
 ურიელ.

ავი გითხარი, რომ მე აქ მოკულ
 მსწავლულთანა და არა ექიმთან.
 და თუ რამ სტკივა ჩემს აზროვნებას,
 შენც იცი სწულ სულის საკურნად
 საჭირო არის თვისივე ღონე.

სილვა.

როს ბავში იყავ ჩემ თუხითთ იჯექ,
 ჩემგან ისწავლე-რა არის აზრი,—
 მაგრამ ესლა კი შენს მასწავლებელს
 შენის თხზულებით აღუდექ წინა!

ურიელ.

მიკვირს, დე-სილვა, ძალიან მიკვირს,
 აზროვნების სწავლა იქნება?
 ან მოწაფენი, მასწავლებლნი
 იმ უმაღლესის ცოდნის სფერაში,



საც ყველა ჩვენი აზრი, პრინციპი,
ჩვენს სისხლში უნდა იბადებოდეს
იმ ცოდნის მიღებით, ვითარცა ძველ დროს
აიაქსისა სისხლში ყვავილი.
მე უბრაულოთ დოქტორებსა
სწავლას მოკუთნე ჰაზრი ნათელი,
რომელშიცა აჩუქდა
სამღვთო მოძღვრება საეროშია;
მე ასე ვქმენი არა იმისთვის,
რომ მეზოგენა ის ჭეშმარიტება,
რომელიც ყველას უნდა მიაჩნდეს
ჭეშმარიტებად; —ოჰ, არა, არა!
მე მხოლოდ ჩემმა უმეტრებამა
მიბრძანა მეთქვა; ჩემმა სიბრძნევე
მიბრძანა ხედავ; ჩემმა სიურთვევე
მიბრძანა სძენა. დიაღ, დე-სილვა!
ჩემმა მხოლოდა, —არ დაივიწყო.
შენც სომ იცი, რომ ჩვენ მხოლოდ იმას
დაგვიჯერებენ, რაშიც თვითონ ვართ
დაწმუნებულნი...

სილვა.

ქრისტიანობა

გიჟობს ესლავე მიიღო შენა...

ურციელ.

დე-სილვა!

სილვა.

რატომ, მაშინ უფალი
უბრაულოს იმას მიუტყუებდა,
რომ შეურაცხვე საწმუნოებს!
სამართლიანი გულისა წერობა
პატრიარქულს და გონიერს ხალხში
გამოიწვია შენმა თხზულებამ
შესახებ ჩვენის საწმუნოების.
არა, ურიელ, სჯული ვალად გვადებს,
რომ გვიყვარდეს და პატრიარქს ვცემდეთ
სინაღოლსა და მის დოქტორებს.
ესლავ, როდესაც ძლიერს დავადწიეთ
თავი აძღენსა დევნულებასა,
ესლავ, როდესაც თავისუფლად
ქება-დიდება შენააჩსისა
აღმოდის ჩვეთა ბაგეთაგანა,
როგორათაცა ალი მსხვერპლისა, —
ნუთუ აწ ჩვენი თავისუფლება
გადნიერებით ბოლოს მოუდებს
მას, რასაც ძენი ისრაელისა
ტანჯვათა შორის წმინდად იცავდნენ
და რაცა სწამდათ შეურყეველად

თვისთა იმელთა მისაყრდნობულად?
არა, არას დროს! ცნობის მოყვარე
ჩემმა გონებამ თუნდაც რომ მითხრას
„ყველა ეგ მკვდარი, დამპალიაო!“
მე მაშინაც ვი, ღმერთმა სომ იცის,
არ დავტოვებდი საწმუნოებას,
როგორათაცა არ უტყუებენ
იმა მსახურსა სინარულშია,
რომელიც მარად ერთგული იყო
ტანჯვასა და გასატყობა!

ურციელ.

შენი რა მომწონს, ეგ შენი გული!
შენ საკვირველის სისწრაფით იცი
სიყვარულიც და მიუღვარებაცა.
შენ შენდომაც ვი მოგატყუებ.
მე როგორც ვხედავ, ჩემი თხზულება
შენ რიგინად არ წაგიკითხავს;
წაიკითხევი, ნუ დაუჯერებ
მას, რასაც სხვანი გუებებან.
მე მოველ აქ, რომ გუთხრა მშვიდობით—
არა მაგ შენსა მიუღვარებასა,
არც შენს შერყეულს თილოსოფისა,
არც შენს გონებას, სიბნელით მოცულს,
იმ გვარ სიბნელით, როგორცა აი
ქვეყნიერებას აწ ეფინება, —
არა, მე მოველ გამოკეთსოვო
მეგობრულად შენს ჭაღარა თმებს.
ახლა ვი დროა... მშვიდობით!.. ვიცი
ჩვენ ერთმანეთსა ვეღარა გნახავთ!

იონაი.

გთხრათ აწ მე მოძიეთ საუბრის ნება,
რაკი მის ღირსი თქვენ არ გამხადეთ.
მითხარით, თქვენთვის სომ არ ვაქნები
გზაში რითიმე გამოსადეგი...

ურციელ.

თქვენ მეტის-მეტად გულ-კეთილი ხართ!
იონაი.

გუთაყვას მითხარ... იქნება შენა
მიხვალ ვარაუში? ჩემის წერილით
შენ იქ მრავალნი ვარს გაგიდებენ...
სწორედ აგრეთვე ღონდონშიცა
გაგატან წერილს...

ურციელ.

მე სამხრეთისკენ
მივემგზავრები, გერმანიაში...
გვიდელებერგი სომ იცით თქვენა?



ეროვნული
ბიბლიოთეკა

იქ მე მოკლები მეუღრასა კელსა,
სადაც დაუწევს ბასს მდინარეს,
ტურფა ყვაილებს, მწკანუ ბაღსებს
და მინდვრის ჩიტებს...

იონაი (იქით).

ძლივს არ დაემშვიდდი
სილივა.

მერე, ივდითი გიშვებს?

ურიელ.

ივდითი?

ეგ რა კითხვაა?..

სილივა.

იგი ხომ არის

მოწაფე კარგი, დამჭერებული
შენის სიბრძნისა!

ურიელ.

ახლა ცხოვრების

სკოლაში შევა.

სილივა.

რაც ქალისათვის

შეკლა სკოლაზედ უკეთესია.

ურიელ, აბა შენის მოწაფის

მომავალს საქმროს ჭკითხე,—მგონია

ისიც მაგ შენის აზრის თანახმა

იყოს...

ურიელ.

არა, იონაი, არა!

თვითონ მდიდარსაც არაფერს აწუენს
ისწავლეს ზიზღი სიმდიდრისადმი.

ჩაატრეთ ყველა იგი ტილები,
რომელნიც გინდათ ქორწილში ენთოს

შატარძლისა შატაკ საცემლად.

არა, არ უნდა მას ის ჭალები,

არც ოქროსი და არც კერცხლის თასნი...

იკლდთმა მამის სასლში გაიგო

ფუფუნებითა ცხოვრების გეო

ჩემგან ისწავლა ვით მოიზოვოს

თვის არსებაში გამყოფილება!

(თან-და-თან ღუღღება და გრძობაში მიდის).

თუ მაინცა და მაინც ისურვებთ

ოქროს ჭურჭელს იმის მიღებას,

თუ მას მოკმაზავთ მედიდურათა

და სიმდიდრეში მარად ამყოფებთ,—

იგი ამისი ღირსი იქნება!

იგი ცით ქვეყნად მოკლენილს,

მას ქვეყნიური არა რა აქვს რა;

იგი ციური საუნჯე არის,

ანგელოზია, რომელსაც ფიქრად
მოსვლია ქვეყნად ჩვენთან ჩამოსვლა.

ნუ, ნუ შეასებთ მას იმა ხელსა,

რომელითაც თქვენა, ცოტა ხნის წინად,

ურვედით ბილწსა ოქროს და კერცხლს!

თქვენ იმაზედა უნდნ ილოცოთ,

ვით ღვთაებაზედ!.. წავიდე დროით!

ფიქრი... იმაზედ, რაც თქვენ ხელთ რჩება,

ვერ დაშრეტს ცეცხლსა განშორებისას...

ოჰ, დროით!—ღმერთო შენ შემეწიე!

(მირბის კარებისკენ, რომელიც იმავე წამს იღება.)

გამოსვლა მესამე.

შემოდინ სინალოლის ორი მოსამსახურე, დიდის ანთებულის სა-
ნთლებით; მათ მოსდევს რაბინი სანტოს წიგნით.

სანტოს (იქით).

აკოსტა? აქ?

სილივა (იქით).

რაბინი?

იონაი. (იქით).

ეს რას ნიშნავს?

სანტოს.

დარჩი აკოსტა, აქ ხუთიოდ წამს,

რომ გაიგო რა მონდობილობით

მოკვლ სიღვასთან...

სილივა.

მონდობილობით?

ჩემთან, რაბინო?... ეგ სანთლები...

სანტოს.

თქვენ

გიკვირთ? რომ ჯერ არ დაღამებულა—

მე ვი სანთლები ხელში მიჭირავს!

სტან ეს სანთლები დღის სინათლეზედ

ჭრი აკოსტას ამაყო ჭკუაზე,

რადგან გსურს გამოცხადებაზედა

უფრო ცხადი და ბრწვინვალე იყო!

ურიელ.

რაბინო, მითხარ მე აქ რა უნდა

გავიგო შენგან?

სანტოს.

სიღვა, ეს წიგნი

შენ სინალოლამ გამოგოგზანა,

როგორც ღმრად მცოდნეს სარწმუნოების

და ყველა წმინდა მის წყაროების.

სინალოლა გთხოვს, რომ შენ ეს წიგნი

გმოიკვლიო სინადისითა



და არა ფილოსოფიის თვალით;—
 არა, შენ უნდა გამოვიკლია,
 იგი რამდენად შეეფერება
 ებრაელების სარწმუნოებას.
 ან შეუძლიან ამის დამწერსა
 აკობის ძედ იწოდებოდეს
 და საუკუნო ცნობებებისა
 იმედი ჰქონდეს?

სილივა.

ამ უძაღლესსა

მატივს ვტვირთულა, რაბინა, დიდის
 მღწივებითა...

სანტოს.

თუ ეს სანთლები

სულა ამ წიგნის დამწერს,
 მაშ სინაღოლას უნდა გაიგოს,
 შეიძლება მას მიეტყოს ნება,
 რომ უწმინდურსა ნათელსა ჰქონდეს
 უწმინდესის ღამწართა შორის?
 სამს მოთაბობირეს ერთ გვირის შემდეგ
 შეატყობინებ შენს აზრს. ახლა გთხოვ
 ბარათი მომცეთ, რომ თქვენ ეს წიგნი
 ჩემგან მიიღეთ.

აღლევს წიგნს სილვას, რომელიც გადაშლის მას და შეერთებ, რადგან იგი აკოსტას თხოვულობა.)

ურიელ.

რა, დე-სილვა?

რამ შეგადრწუნა? მითხარი სწორედ—
 მე ხომ ეგ თქვენი ბრმა ფანატისმი
 მემუქრება აწ სრულად გამოქრას
 სულის სინათლეს...

სილივა.

დაიღ, შენა ხარ...

შენ, ბრალდებული...

სანტოს.

თქვენ აქ აცხადებთ

სიბრალედსა?.. დე-სილვა, ამ წიგნსა
 ისე უყურე, როგორც მხოლოდ წიგნს;
 დამწერს ვერ იცნობ.

სილივა.

ღირსო რაბინა,

აჲ ბარათი, რომ მე მივიღე
 ეს სამწუნარო მონღობილობა...
 აკოსტა! შიშის ზარი გვიპყრობს ჩვენ,
 როდესაც ღმერთი თვითონ ჩვენ გაბძლევს

ხელში სადავეს ჩვენის ბედისა **ეროვნული**
 და არა სხვისას და ჩვენვე გვირჩევს **იბლიოთიქა**
 მსაჯულად ჩვენის ბედნიერების
 და ჩვენისავე უბედურების...
 მაშ მითხარ იმას რაღა მოუვა
 ვინც რომ მსაჯულად სდება სხვის ბედს,
 ვისაც უფალი თვით ამოირჩევს
 განსაკითხველად სხვის მოქმედების.
 გწუხვარ, აკოსტა, ძლიან გწუხვარ,
 რომ მრწამს ზეგარდმო დანიშნულება,
 რომ სშირად გსედავ ნებას უფლისას
 მასშია, რასაც კაცი მიბრძანებს...
 მე ჩემმა ერმა გამოგიწავს
 ეს წიგნი-და მე მას გამოვიკვლევ
 ტორთან, ტაღმუდთან შედარებითა.
 (გადის; თან გასდევნენ სანტოს და მოსამსახურენი).


იოხაი.

რად ხარ, აკოსტა, აგრე შემკრთალი?
 ნეტავი აგრე შენ რა გაწუხებს?
 შენ ხომ აპირობ სსვგან წასვლასა—
 დაე აქ იმათ რაც რომ ენებოთ
 ის განგინინონ, —როდე ერთია.
 როცა სსვა ხალხი, სსვა ჩვეულება
 შენ მიგიღებენ თავეთთა შორის,
 აქ რა სასჯელიც უნდა დაგადონ,
 ისე მოისმენ, ვითა ზღაპრისა...
 ახლა მშვიდობით, გზა დამილოცავს! (გადის)

ურიელ.

შენა გგონია, შენს საამებლად
 კიდეე წავიდე უცხო მსარეში?
 შენა გგონია, რომ რაკი ერთხელ
 იგდითისა და ჩემს დასასწნელად
 მსდლად გამოგვეტე ბრძოლას გულისას,
 ესლაც ისევე მსდლად გავეტევი
 გონების ბრძოლას?.. ოჲ, არა, არა!
 შემცდარი ხარ შენ! ჭეშმარიტება
 ვისაც რომ უყვარს, ვინც მისთვის იბრძვის,
 მის გვირგვინისა მშენიერს სსივებს
 თავისის ფეხით როდი გასთლავს,
 როდი გააქრობს მას ტყველს ბრძოლისას,
 რომელსაც გვიგზნებს ჭეშმარიტება...
 გაკვირე ესლ? არა და არა!
 დაურჩები თუ გინდ მატციონ მტვერად!

(გადის)





ხალხური ლექსები.

კახტანზე შევე წამობძანდა თან წამოვეა დიდი ჯარი,
 ატენის ბოლოს მოვიდნენ ამოდენა ღვინით მოვრანნი,
 გორიჯვარში ჩამობძანდნენ არ ილოცეს გორი ჯვარი;
 ზედველაზედ შეიბმენ რსამდღა და თუშის ჯვარი:
 შესვლასზედ მოკლეს სამოცი, აადინეს სისხლის ღვარი.
 ამ მამაძაღვმა გიორგიმ რაზედ ამოიგღო გვარი,
 ან შეიღმა, ან მამამ რაზედ დაინოცეს თავი?
 კალაძეებმა ცხრა მოკლა, მერმე იმის მოსტყეს თავი,
 დედას კაცი მიუვიდა, კალაძეებ მოგვაქეს მკვლარი.
 ვაი, შეიღო კალაძეებ, ვინ შენა და შენი ხმალი!
 შეიღო ქორწილს გიშინობდი, უნდა მომეყვანა რძალი,
 ტავსტი შეგვარ, ჩილაღდრისა ოქროს მეკლდით მოქარგული,
 ზედ ბატონამ რძალი დავსვი, იალქნითა შეგაზმული.
 იზიდასმა გაიგონა, გაიძალა გიშინის თმანი;
 ოხანანუმი გაიგონა—თავს დაისხა ქალის ჯარი.

დისეურომ თქვა წყალზედა: ბევრი ვერ შეიძრის წყალსაო
 დისეკს ვაბრუნებ წისკვილსა, გარს შემოვიხსნამ ჯარსაო;
 ჩამბირეთს რომ გადმოვდგები, შავათ დამედოს მე ფერი
 საყდრის კარსზე ჩამოვბძანდე, წირვას დავაუყენო მკვდელო,
 ხელახუას კაცი გაგვსავნო, იქდონ მამიკა ძღვენი;
 ფისამეს შემოუთვლია: მე არ მისართებს შენი ძღვენი!
 ჩუმ-ჩუმით ჩავიძანებო ბაკურაშვილის კარსაო,
 ბაკურა გამოსულიყო, გვერდზედ ისხამდა ტყავსაო.
 ჩუქქეში გორასზედ იდგა, იქიდან მამიკეს ქრთამსაო:
 ნაზვარეუში ქვას ნუ შეიტან, მე არ დავიშლი სსკასაო
 დიდ-ღიასვსა გამომსახ. „მე მოქცემ კაი ქალსაო.“
 მე შენსა ქალსა რას ვაქნებ ავსა და კუდიანსაო?
 ბოლოს მოვბამ საბელსა სულ ისე ვავსდი ტყავსაო.“
 აცა გნანამ დისურა გესვეოდნენ კოდოები,
 ბიჭ-ბუჭები ბანახობდნენ და ტიტკვლა გოგოები.


(შეკრებილი ანასტ. თავდგირიძისაგან).

მოთხროვანი

ერთი მრავალთავან
(მოთხრობა კაბუღი მენდესისა.)

პარისში სცხოვრებდა ერთი კეთილი ოჯახობა,
 რომლის ბედნიერებას ბევრი ნატროულობდნენ. თა-
 ვი კაცი—მამა გამოჩენილი მხატვარი იყო და იმდენს
 შოულობდა, რომ მის ცოლს და ქალს არაფერი

გაჭირვებოდათ; ჯერ ჯერობით მათ არ უცდიათ ზრდას-
 ლარობის სიმწარე და არც სხვა რამე უბედურება, პირ-
 იქით მათი ქონება და სახლის მორთულობა ბევრს
 შურიანებს და ხარბებს ბოროტად აქიტიკებდა ხოლ-
 მე. აი ერთს დღეს თავი კაცი—მამა კვდება და ორი-
 ვე ქალები, რომელნიც თვისის უზრუნველობით ჩი-
 ტებს ემსგავსებოდნენ და რომლებსაც მამის სიცოცხ-
 ლის დროს თავშიაც არ მოსვლიათ მომავალი დღის
 სარჩოზე ფიქრი და ზრუნვა; ერთბაშად მოეკვითათ
 ფრთები და პირ-და-პირ წარდგნენ ნამდვილ საშინელ
 ცხოვრების და ის მოთხოვნილობის წინაშე. მამას
 დაუღალავს მუშაკს-ძისას არაფერი არ დაუტოვებია
 მათვის: არც მოძრავი და არც უძრავი ქონება. მარ-
 თალია მათი სახლი საესე იყო სხვა-და-სხვა ფანტას-
 ტიური სამკაულებით და მორთულობით, მაგრამ რას
 შეადგენს სამკაულობა? მათი შოვნა ძვირად ღირს,
 მაგრამ გაყიდვის დროს სრულიად ეკარგებათ თავისი
 ღირსეულობა, თავისი ფასი. გარდა ამისა იმათ ვალე-
 ბიც-სწვით კისერზედ. კარის ელექტრონიული ზარე
 ყოველს წუთს უწყალოთ რეკავდა: ხან მეპურე რე-
 კავდა, ხან ყასაფი, ხან მრეცხავი ხან ბაყალი და სხვა.
 ყოველს წუთს ერთი და იგივე მომბებრებელი:
 დინ, დინ, დინ, დინ, დინ!.. ამ ანგარიშებს ბოლო
 არ ჰქონდა. უქანასქელი რაც ჰქონდათ დედაკაცებს,
 ზოგი დაწინდრებული იყო, ზოგი ჩალის ფასად გა-
 ყილღული, მაგრამ მინც ხშირად ემოდა ქალებს ასე-
 თი სიტყვები: „თუ ფული არა გაქვთ, მა რალა ოხ-
 რობას აკეთებთ? იმუშავეთ, რეცხეთ, ჰკერეთ განა
 საქმე არ გამოგიჩნდებათ თუ კი მოინდომეთო!“
 და სხვა-და-სხვა. დედა, რომელიც ერთბაშად კრუხივით
 დაეშვა, უიმედობის თვალთ იყურებოდა გარშემო
 და რალაც განმაგებით სულ ყავასა სევამდა. მაგრამ
 ქალი, ახალგაზდა, ბევრი ბევრი 20 წლის მშვენიე-
 რი, ამაყის სულით და ძალ-ღონით საესე, ვერ იტან-
 და ასეთს დამცირებას.—რა ჰქნას ახალგაზდა ქალ-
 მა? როგორ თუ რა ჰქნას, იმუშაოს! განა სწავლა-
 განათლება ან ნიჭი აკლია თუ? იგი მშვენიერი დამ-
 კერელი იყო ფორტოპიანოზედ, და თან კარგი მხა-
 ტვარიც, ასე რომ ხშირად მამის სიცოცხლის დროს,
 ბევრი გამოჩენილი მხატვარი პატარა ქალს-მხატ-
 ვარს დიდს სახელს უქადნენ. დიახ, ქალი შეუდგება
 მუშაობას, დედას და თავის თავსაც ულუკმოპურად
 არ დაადგებს, ჩაიცვამს, დაიხურავს! მართალია, პირ-
 ველ ხანებში გაუჭირდება, მაგრამ განა სიძნელემ
 უნდა შეაშინოს? ბრძოლისათვის იმას ძალიც აქვს,
 ღონეც, სიცოცხლეც და გამბედაობაც! დიახ ასე



სჯობნა. შრომამ, პატიოსანი შრომამ უნდა დაიხსნას არივე ქაოები შიმშილ წყურვილისაგან...

მამა მის ბეჭი მეგობრები ყვანდა, მაგრამ არა მეგობრები კი არა-ნაცნობები (ამ ჩვენს დროში მეგობრები იშვიათი მოვლენაა) და აი ამ მამის ნაცნობებმა ახალგაზდა ქალს ხელ გაუმართეს. ყველანი იწვევდნენ, ყველანი საქმეს პოულობდნენ ახალგაზდა ქალისათვის. მომეტებულათ გაკვეთილებს მოულობდნენ. ყველას ის უხაროდა, რომ შრომას დაუჩვენული ქალიერთბაშად შრომას ჰკიდებს ხელს და თავის ,,მშენიერის“ ხელებით დღიური საზრდოს მოულობს, ხუმრობა ხომ არ არის! და მერე როგორი ქალია, ყოველსტრით მშენიერი: გაზრდილი, განათლებული პატიოსანი, რბილი, ზნეობრივი, მომხიბლავი, ნაზი და სხვა-და-სხვა. აი ასე ლაპარაკობდნენ სხვა-და-სხვა ,,სალონებში“. ახალგაზდა ქალის საქმე საუცხოოდ წავიდა. ესლა არც მოვალეები და არც შიმშილ-წყურვილი აწუხებდა მას და დედა-მის. ყველა ვალები ნელ-ნელა გაისტუმრა, პირ-იქით ცოტა ფულიც მოაგროვა... მაგრამ ყველა ეს ბედნიერება ერთს დღეს დაიხშო. სუზერინა (ასე ეძახდნენ ახალგაზდა ქალს) შეუყვარდა ერთს ,,დედის ერთას“, მდიდარ ოჯახის და არისტოკრატის შვილს და მერე რომელი ოჯახის? იქ სადაც სუზერინა გაკვეთილებს აძლევდა პატარა ბავშვებს. დიანს, სუზერინა შეიყვარა ,,დედის ერთამ“, ხუმრობა ხომ არ არის! სიყვარულს კიდევ ჯანი გაეარდნოდა, თურმე ცოლათ შერთვა დააპირა. აი ეს იყო საოცარი, ეს იყო გონებას შემშლელი საგანი არისტოკრატ-ქალის დედას. მაგრამ ნეტა სუზერინას უყვარდა ,,დედის ერთა“? რატომაც არა. მხოლოდ სიყვარულია უბედურებისათვის და ლატაკებისათვის შესძლებელი! ასე იყო თუ ისე, ხოლო ,,დიდ-კაცობა“ ,,არისტოკრატია“ აწიწმატდა: როგორ თუ ცოლად შერთვა, ვილაც მათხოვარ ვილაც ლატაკი გოგო ჰპედავს და ლამობს ჩვენი ოჯახის შეურაცხყოფას; იმისი საქმე გაკვეთილებია. ქუჩა-ქუჩა ხეტიალობდა და სხვა არაფერი... ოჰ! ის საძაგელი, ის უზნეო!... და სხვა-და-სხვა... ყველგან დაეკეტა კარები საცოდავს სუზერინას... დედებმა ჰკეას მოჰკიდეს ხელი; რას ბრძანებთ ქალბატონო, სახლში არ შეუშვათ, თორემ უთუოდ მოხიბლავს თქვენს ვაჟს და გადაგირეოსო. აი ასეთი იარაღი იხმარეს ,,პატიოსანმა მანდილოსნებმა“ საბრალო ქალის წინააღმდეგ და კიდევ მიღწიეს თავის სურვილს. სუზერინა ისევე ულუკმა-პუროდ დარჩა. სიღარიბე, შიმშილი, წყურვილი კვლავ დაბრუნდა

ორის უბედურის ქალების სადგომში. სიცივე, შიმშილი... ხელ ახლათ წამოვიდნენ მოვალეები, ხელ-ახლათ წარმოადკინეს ანგარიშები—ესლა არც პურია, არც ხარცი, არც შვეშა! მაშინ გამოჩნდა ვილაც ლეთისნიერი მეგობარი, რომელმაც თავის თავი ,,დედილოთ“ იწოდა. აი ამ ,,დედილოს“ ებრალება მათი უბედური მდგომარეობა და მიტომაც მოვიდა რომ რამე უშველოს, სარჩო გამოუჩინოს... ,,დედილო“ ეუბნება: ერთი ვილაც მდიდარი ბატონი გახლავთ რომელსაც ძალიან სურს თქვენი დახმარება... თქვენ ხუმრობა ნუ გვანიათ, ძალიან მდიდარია. მერე რომ იცოდეთ, რა ნაირად უყვარს ქალები, მეტადრე თქვენი-თანა ლამაზი ქალი. . ესეც უნდა გითხრათ, რომ ფულს თავის დღეში არ დაიშურებს. დიდს სახლს გიქირავებთ ორივეს, დედას და შვილსაც მოსამსახურეებს და მზარეულებს ორ-სამა დაგიყენებთ, თქვენ აგრეთვე საკუთარი ეტლიც გექნებათ თავის ცხენებით და ქუჩით, ყოველ თვე გადაჭრილი ჯამაგირი გექნებათ დანიშნული—1000 მანეთი. ამ თავითვე, პირველი გაცნობისათვის მოგართმევთ 10000 მანეთს. ერთი სიტყვით მთლად ავაშენებთ ორივეს. ის დიდი ხანია თქვენ გიცნობთ, მამა თქვენი მაშინ კიდევ ცოცხალი, იყო თქვენ რამდენჯერ ხელით უჭარებინართ, რამდენჯერ თქვენთვის ტიკინი და კამფეტები უყიდნა... მართალია, ცოტა ხანში შეუძლია, მაგრამ არც ისეთი ბებერია, რომ არ მოგვეწონოს... მერწმუნეთ, რომ ჩემთვის არ ეჭრუნავ, არამედ თქვენთვის ვცდილობ, თქვენ დაგხმაროთ მსურს და სხვა-და-სხვა სიმღერები გააბა ,,დედილომ“ ამ კლოზედ... სუზერინა მალე მიხვდა სად სცემდა გულ ღმობაერი ,,დედილო“ და მყივე გარეთ გაათრია და კიბიდან ძირს ჩაუძახა... მაგრამ დედა... დედამ ვერ მოისვენა. 10000 მანეთი თვალ-წინ ეხარებოდა, სიმდიდრე, კარგი, უზრუნველი ცხოვრება, ჰამა სმა და ჩაცმა... 10000 მანეთი, ღმერთო, რამოდენა ფულია!.. ბუტბუტებდა დედა... სიღარიბე კი თავისას სჩადიოდა. შიმშილი, სიცივე... ეჰ!...

ერთხელ სუზერინამ შევიდა ,,დედილოს“ სადგომში და უთხრა: «მე თანხმა ვარ! ხვალ წავიდეთ იმ ბებერი მეგობართან», დღეს კი ერთი ხუთი მანეთი მასესხეთ! «დედილომ» რა თქმა უნდა მაშინათვე მისცა ფული... ვაჭრობაში ფული ესე იგი მე ხომ აუცილებელია, მეტადრე თუ საქონელი კარგია...

მეორე დღეს სუზერინა წავიდა ,,მეგობართან“. ბებერს ,,მეგობარს“ სიხარულისაგან კინალამ დამბლა მოუვიდა. სუზერინა სდგას ,,მეგობარის“ წინ



ეროვნული
გიგლიორთქვა

უშიშრად, მედგრად, არც ერთი მისი ძარღვი არ ირყევა.

- მაშ თქვენ 10000 მანეთს იძლევით?
- დიახ 10000 მანეთს და თუ გნებავთ მეტსაც!
- აჰა ფულები სად არის?
- აი მიირთვიო.

სუზერიანამ გამოართვა ფულები, დაჯდა სტოლთან, დასწერა ბარათი, შიგ ფულები ჩასდო და წამოდგა:

- ბიჭს დამიძახეთ! ბიჭო შემოვიდა.
- წაიღეთ ეს ბარათი იმ ადრესით, რაც ზედ აწერია და სუზარინა მიუბრუნდა ბებერს „მეგობარს.“ ამ დროს ბებერიც მიუახლოვდა.

— მომითმინეთ! ნელა წაიღულუნა სუზერიანამ ბებერი „მეგობარი“ გაოცებული იყო, მას არ ესმოდა რას აპირებდა სუზერიანა, ხოლო მისი თვალები, მთელი მისი აგებულება რაღაც ბოროტის გნებით აიგსო. ასე გაიარა რამდენიმე წუთმა. ბებერი კვლავ მიუახლოვდა სუზერიანას.

— მომითმინეთ. გაიმეორა ქალმა. კიდევ გაიარა რამდენიმე წუთმა.

— ეხლა ჩემი ბარათი თავის ადგილზე იქნება. ეხლა ფული დედაჩემს ექნება ხელში—წარმოთქვი რაღაც ძალდატანებით ქალმა. ყური დამიგდეთ მამა ჩემის „მეგობარო“ და ჩემო კეთილ მზრუნველო! მე იძულებული ვიყავი ორს გზაში ან ერთი, ან მეორე ამერჩია—ესე იგი ან მატყუარი მტაცებელი გაემხდარეყავი ან როსკ... დიაცი... მე ვირჩიე პირველი—მოტყუება მტაცებლობა.

სუზერიანამ ერთს წუთს ამოიღო ჯიბიდან რევილიერი, რომელიც მას ეყიდნა იმ ხუთ მანეთად, რომელიც „დედილომ“ ბედ მისცა, მიიტანა რევილიერი საფეთქელთან და გაისროლა... პატარა სისხლით გასერილი ტენი ჩავარდა შამპანურის ღვინით სავსე სთაქანში, რომელიც იქვე გაშლილ სუფრაზედ იდგა, სხვათა სასმელთა შორას...

ციკლოპი.

რედაქტორ-გამომცემელი ვ. აბაშიძე.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

„თეატრის“ რედაქცია.

მომავლის წლისათვის განაგრძობს ხელის მოწერის მიღებას.

გაზეთი „თეატრის“ პროგრამა მომავლის წლისათვის ისევე ის დაჩნება, როგორც წინწლებში. დაიბეჭდებიან: სსკათა შორის მოთხრობანი როგორც ორგინალი აგრეთვე საუკეთესო უცხო თხზულებათა თარგმანები, პიესები: ზოდევოლი, კომედიბ და ტრაგედია, ანექდოტები: მოსწრებული სიტუეები, გასართობენი სასაცილო ამბები და სხვა. გამოცანები; სალხუში, სამატემატიკო, საართმეთიკო; ანდაზები, იგავეები: ლექსები: კრიტიკა და ბიბლიოგრაფია; გაზრება პიესებისა და წარმოდგენებისა, რეცენზიები და სხვა.

ფასი გაზეთისა წლით 5 მ. ნახევარ წლით 3 მ.

გამოვიდა და ისეიდება ქუთაისში, ი. მურადოვის წიგნის მაღაზიაში

ქართული წერის დედანი

ვ. გაბრიხაძის

ფასი 30 კაპ.

ვინც ოც-და-ათს, ანუ მეტს ეკემპლიარს იყიდის, ეკემპლიარნი 24 კაპ. დაეთმობა და გაეკზავნება.

წერის დედანს შეადგენს: 1.) მსხვილი გადაბმული ხელი ბადეში თავის ელემენტრებით; 2.) დაზატარავებული საშუალო გრვავალი ხელი უბადეთ ოთხს ხაზში; 3.) გადაბმული სწორედ (აღმაცურად) ნაწერი ნუსხური ხელი სამს ხაზში და 4.) გადახრილი (наклонный) გაკრული ნუსხური ხელი ბადეში-ჯერ გადაბმულად და შემდეგ სამს ხაზში გადაბმით. დედანს აქვს სულ 24 გვერდი.



газеты

„КАВКАЗСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(Бывшее «юридическое обозрѣніе»)

ГОДЪ СЕДЬМОЙ

Издавая въ теченіи шести лѣтъ „Юридическое Обозрѣніе“, посвященное изученію юридическихъ вопросовъ, судебной практики и правовой жизни, редакция журнала, въ виду нарастающихъ потребностей, признала необходимымъ расширить программу и съ 1-го Января 1887 года издавать ежедневную политико-литературно-юридическую газету, подъ названіемъ „Кавказское Обозрѣніе“

Въ газетѣ примутъ участіе многіе столичные, иновгородніе и мѣстные Кавказскіе корреспонденты и извѣстные писатели, —спеціалисты по разнымъ отдѣламъ изданія.

Газета будетъ выходить ежедневно, не исключая и послѣ-воскресныхъ дней, въ количествѣ 350 №№ въ годъ, въ форматѣ обыкновеннаго газетнаго листа, по слѣдующей программѣ:

1. Статьи по вопросамъ: а) теоріи и практики права и судопроизводства, экономическимъ финансовымъ, государственнымъ, международнымъ, общественнымъ, по обычному праву и статистикѣ; б) русской и иностранной общественной жизни, политики и литературы; и в) промышленнымъ: нефтяному, винодѣлю, шелководству, марганцовому дѣлу и др.—II. Обозрѣніе правительственныхъ распоряженій.—III. Судебное обозрѣніе (судебные отчеты и кассаціонныя рѣшенія)—IV. Общественное Обозрѣніе (отчеты о засѣданіяхъ общественныхъ собраній и ученыхъ обществъ).—V. Тифлисское и кавказской Обозрѣніе (новости и корреспонденціи).—VI. Русское Обозрѣніе.—VII. Иностранное Обозрѣніе.—VIII. Обозрѣніе русской и иностранной періодической печати; критика и библиографія.—IX. Торговопромышленное Обозрѣніе (торговопромышленныя свѣдѣнія и курсы).—X. Фельтонъ: романы, повѣсти, рассказы о явленіяхъ общественной жизни и стихотворенія.—XI. Послѣднія новости и телеграммы.—XII. Смѣть.—XIII. Театръ и музыка.—XIV. Справочный указатель (резолуціи Тифлисскихъ судебныхъ установленій по дѣламъ апелляціоннымъ кассаціоннымъ и пр.).—XV. объявленія.

Условія подписки:

РЕДАКЦІЯ И АДМИНИСТРАЦІЯ ГАЗЕТЫ (для приѣма подписки, объявленій и разничной продажи)—ТИФЛИСЪ, Сололаки, Нагорная улица, д. № 21.

Подписная цена на газету (съ доставкою и пересылкою.)

Въ Россіи	Руб.	коп.	За границею:	Руб.	коп.
На 12-ть мѣсяцевъ	—	12	На годъ	—	19
— 6 — — — —	—	6	— полъ года	—	10
— 3 — — — —	—	3			
— 1 — — — —	—	1			

для г. г. студентовъ годовая плата—9 р., съ разсрочкою: при подпискѣ, въ апрѣлѣ и августѣ по 3 р.

Отдѣльные №№ газеты по 5 коп.

ОБЪЯВЛЕНІЯ, за занимаемое мѣсто, строка петита 5 коп.; при неоднократныхъ объявленіяхъ, дѣлается скидка.

Подписка на газету и объявленія также принимаются: въ Тифлисъ: въ типографіи „Кавказское Обозрѣніе“ (Дворцовая улица, каравансарай, бывшій Арцруни) и въ Центральной книжной торговлѣ, въ Петербургѣ и Москвѣ, въ книжныхъ магазинахъ: И.И. Анисимова и „Новаго Времени“, въ Харьковѣ—въ книжн. магаз. „Новаго Времени“, въ Одесѣ—у Распопова, въ Варшавѣ—у Райхмана и Френдлера и др.

При доставленіи въ редакцію экземпляра сочиненія юридическаго или иного содержанія о немъ будетъ данъ отчетъ и сдѣлана публикація

Редакторъ—издатель А. С. ФРЕНКЕЛЬ.